# ახლოვდება სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის ფინალური სტარტები



ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: აი, ამ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვდებიან სპარტაკიადის პრიზიორები.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

**ლელო**

№ 92 (7403)

15 მაისი, 1983 წ. კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

● მხატვრული ტანვარჯიში

## თბილისელთა უპირატესობით

**ბათუმის** სპორტსკოლის დარბაზში სამ დღეს მიმდინარეობდა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა რესპუბლიკური პირველობა ჯგუფურ ვარჯიშში.

ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისის (2), აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისისა და რუსთავის გუნდები. როგორც მოსალოდნელი იყო, შეჯიბრება დედაქალაქის წარმომადგენელთა უპირატესობით აღინიშნა.

34,225 ქულით უძლიერესის სახელი მოიპოვა თბილისის პირველმა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ვ. დარბაიძე, ნ. რუტმანი, ნ. გრიშაშვილი, მ. გოგოლაშვილი, ვ. გონჩუკოვა და ლ. მჭედლიშვილი (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნ. სალაძე).

გამარჯვებულებს 1,5 ქულით ჩამორჩნენ თბილისის მეორე გუნდის წარმომადგენლები, მესამე საპრიზო ადგილზე რუსთაველი ტანმოვარჯიშეები (31,8) გავიდნენ.

აქვე გათამაშდა პირადი პირველობა საქართველოს ნაკრების თასზე. გოგონათა შორის გაიმარჯვა თბილისის 155-ე სკოლის მეექვსეკლასელმა ფ. ფანქველაშვილმა — 53,7 ქულა. შემდეგ მოდიან ი. ყიფშიძე (52,9) და ნ. ლომიძე (48,3).

ოსტატების პროგრამით მოასპარეზე 11 მონაწილეს შორის ყველას აჯობა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ნ. რუტმანმა— 70,225 ქულა, II ადგილზე გავიდა ვ. დარბაიძე — 69,975, მესამეზე — ნ. გრიშაშვილი — 69,45. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატის უმაღლესი შეფასება — 9,55 ქულა დაიმსახურა დარბაიძემ რგოლით ვარჯიშში.

— ახლა, როდესაც საკავშირო სპარტაკიადამდე ცოტა დროა დარჩენილი, ნებისმიერ ასპარეზობას ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება, — გვითხრა საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ნელი სალაძემ. — ბათუმის სარბიელზე ჩვენი გოგონების გამოსვლით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ვეჭვობ, რომ ისინი, საკმაო გამოცდილების უქონლობის გამო, სპარტაკიადაზე 8 უძლიერესს შორის მოხვდნენ. ჩვენი გუნდი თითქმის უცვლელი შემადგენლობით ინტენსიურად ემზადებოდა მომავალი საპასუხისმგებლო სტარტებისათვის, მაგრამ ცოტა ხნის წინ ნაკრებს ორი წამყვანი წევრი გამოაკლდა. ბათუმში ვერ იასპარეზა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ირინე გაბაშვილმაც, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ იგი მალე ჩადგება მწყობრში.

რაც მთავარია, ჩვენს რესპუბლიკაში საკმაოდ არიან პერსპექტიული ტანმოვარჯიშეები, ამიტომ მომავალს იმედის თვალით ვუყურებთ.

გ. ახალაძე,





ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ასპარეზობს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ნ. რუტმანი; გოგონათა შორის გამარჯვებული ფ. ფანქველაშვილი; თბილისის მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა I გუნდი, რომელმაც უძლიერესის სახელი მოიპოვა რესპუბლიკაში.

ავტორის ფოტოები.



● ძიუდო

## ხაბარელის „ბრინჯაო"

**პარიზი.** პიერ დე კუბერტენის სახელობის სპორტის სასახლეში გამართულ ძიუდოისტთა ევროპის პირველობაზე 78 კგ წონითი კატეგორიის ათლეტთა შორის მოსკოვის ოლიმპიადის გამარჯვებული და კონტინენტის შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი თბილისელი შოთა ხაბარელი ამჯერად ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. ნახევარფინალში იგი დამარცხდა ფინელ ს. მულულისთან, რომელიც II ადგილზე გავიდა. სამი წლის შესვენების შემდეგ უძლიერესის წოდება კვლავ ნ. ადამსმა (დიდი ბრიტანეთი) მოიპოვა.

86 კგ წონით კატეგორიაში ევროპის ჩემპიონის ტიტული პირველად დაიმსახურა მინსკელმა ძიუდოისტმა ვიტალი პესნიაკმა. 22 წლის ათლეტმა სძლია შვეიცარიელ უ. ბრუნერს, კონტინენტის პირველობის ბრინჯაოს პრიზიორს დ. ულჩს (გდრ) და ს. ლოპატიჩს (იუგოსლავია). ფინალში კი დაამარცხა 1980 წლის ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ავსტრიელი პ. ზაიზენბახერი.

II ადგილზე გავიდა ზაიზენბახერი. მესამეზე — ულჩი და მარიო ვეჩი (იტალია). (საქდესი).

• • •

**სურათზე:** ევროპის 1983 წლის ჩემპიონატის პრიზიორი ჭიდაობა ძიუდოში შ. ხაბარელი.



# ასპარეზობენ მოსწავლეები

### იუბილეს მიეძღვნა

**საქართველოს** პროფსაბჭოს მძლეოსნობის სასახლეში ჩატარდა სპორტსაზოგადოებების „კოლმეურნეს", „განთიადის", „ბურევესტნიკის", „ლოკომოტივის" ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების პირველობა ძიუდოში 1966-68 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის. შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდიც, მიეძღვნა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის თავს. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს ნ. ბაირამოვმა, (ფიზკულტურის ინსტიტუტი), მ. კარიაულმა („განთიადი"), მ. მაზანაშვილმა („სპარტაკი"), ბ. ბასილაშვილმა („კოლმეურნე"), ტ. ჯავახიშვილმა („კოლმეურნე"), მ. ზურაბიშვილმა („განთიადი"), გ. ბაზანდარაშვილმა („ბურევესტნიკი"), ქ. ამბოკაძემ („განთიადი"), გ. ბერუაშვილმა („განთიადი"), მ. ხუმარაძემ („განთიადი").

52 ქულით გუნდური პირველი ადგილი დაიკავა „განთიადის" ბავშვთა და მოზარდთა სპორტულმა სკოლამ (დირექტორი გ. ზაუტაშვილი). მეორე—„ბურევესტნიკის" სპორტულმა სკოლამ (40,5 ქულა, დირექტორი რ. ქურხაშვილი), მესამე — „კოლმეურნეს" ბავშვთა და მოზარდთა სპორტულმა სკოლამ (36 ქულა, დირექტორი ა. კუპრავა).

მძლეოსნობის სასახლის პრიზი დაიმსახურა მძიმე წონაში გამარჯვებულმა მ. ხუმარაძემ.

ვ. წიგნაძე,

**საქართველოს პროფსაბჭოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განყოფილების უფროსი ინსტრუქტორი, სპორტის ოსტატი.**

### მეორე ადგილზე

**ლვოვში** გაიმართა სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატების საკავშირო პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილე 15 გუნდი თავდაპირველად სამ ქვეჯგუფად ასპარეზობდა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა წინასწარი შეხვედრები მოუგეს აშხაბადის, დუშანბეს, ყარაგანდის და ფრუნზეს გუნდებს და კიევისა და ალმა-ათის მოჭიდავეებთან ერთად ფინალში გავიდნენ. სწორედ ამ სამ კოლექტივს შორის გათამაშდა საპრიზო ადგილები.

მართალია, თბილისელმა ფალავნებმა (მწვრთნელები — ჯ. ლორია და თ. ბენდიანიშვილი) პირველი ფინალური შეხვედრა დათმეს კიეველებთან, მაგრამ შემდეგ მოუგეს ალმაათელ თანატოლებს და მეორე ადგილი დაიკავეს.

ჩვენი მოჭიდავეების გამოსვლას მაღალი შეფასება მისცა სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა. შ. ნევრედინოვმა. მან საკავშირო საწვრთნელ შეკრებაზე სხვებთან ერთად მიიწვია დავით გორგაძე (74 კგ), ზაზა ტყეშელაშვილი (97) და ლევან ებანოიძე (მძიმე წონა). ეს სპორტსმენები ლენინგრადში შესარჩევ ტურნირზე გამოვლენ და წარმატების შემთხვევაში ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატში იასპარეზებენ.

# დაჯილდოება

### ვულოცავთ ვეტერანებს!

**ფიზიკურ** კულტურასა და სპორტში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისთვის, დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი **ოთარ მიხეილის ძე ქორქია** დაჯილდოვდა **საქართველოს სპორტკომიტეტის საპატიო სიგელითა და დიდი ოქროს მედლით.**

* * *

**ფიზიკურ** კულტურასა და სპორტში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი **ზურაბ გიორგის ძე მაჩხანელი** დაჯილდოვდა **საქართველოს სპორტკომიტეტის საპატიო სიგელითა და დიდი ოქროს მედლით.**

# სეზონი კარს მომდგა

●

## რესპუბლიკის პლაჟებზე ცურვის მასობრივი სწავლების პრობლემები

**ფიზიკური** კულტურისა და სპორტის მასობრიობის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა მოსახლეობისათვის ცურვის სწავლება. ცურვა მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცების, მათი ფიზიკური წრთობისა და შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის ერთ-ერთი მძლავრი საშუალება გახლავთ.

ამ მიმართებით მუშაობის ფართოდ გაშლა შესაძლებელია გაზაფხულზე. სწორედ ამიტომაც, ზაფხულის სეზონის დასაწყისში გვინდა ვისაუბროთ ამ მნიშვნელოვან საკითხზე.

გაანალიზებთ რა შარშანდელი ზაფხულის პერიოდში ფიზკულტურული, პროფკავშირული, კომკავშირული, წყალმაშველი და დოსააფის ორგანიზაციების, სპორტსაზოგადოებების, ცალკეულ უწყებათა მუშაობას, სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ რესპუბლიკის პლაჟებზე ცურვის სწავლება კარგად არ იყო ორგანიზებული.

პლაჟების კონკურს-დათვალიერების შედეგებმა გვიჩვენეს, რომ რესპუბლიკის პლაჟების უმრავლესობა ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობისთვის ცურვის ორგანიზებულად სწავლების მოთხოვნებს.

გამონაკლისია მხოლოდ აფხაზეთისა და ქალაქ ფოთის პლაჟები, სადაც ჩამოყალიბდა ცურვის შემსწავლელთა რამდენიმე ჯგუფი, თუმცა სპორტული ინვენტარის (ფენოპლასტის დაფები, გასაბერი ბალიშები, რგოლები, ბურთები, მერხები და სხვ.) უქონლობამ მნიშვნელოვნად შეამცირა აქ წარმოებული მუშაობის მარგი ქმედების კოეფიციენტი.

საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს პლაჟებზე არ არის არც ერთი ფასიანი პუნქტი ბავშვთა და ახალგაზრდობისთვის ცურვის ორგანიზებული სწავლებისთვის.

მოუვლელია წყალჯომარდობის სადგურები. ფაქტიურად მათ უკვე შეწყვიტეს არსებობა. ეს პირველ რიგში ითქმის საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე და ბუნებრივ წყალსაცავებთან მოწყობილ სადგურებზე. არადა ერთ დროს ასეთი სადგურები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ცურვის სწავლების, ნიჭიერი მოზარდების გამოვლენის საქმეში.

სპორტულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა, წყალმაშველი და დოსააფის ორგანიზაციებმა, სპორტსაზოგადოებებმა და უწყებებმა, რომელთა გამგებლობაშიცაა წყალჯომარდობის სადგურები, ყველა ღონე უნდა იხმარონ არსებულის აღსადგენად და ახლის შესაქმნელად; სადგურები უნდა დააკომპლექტონ ცურვის ინსტრუქტორებით და უზრუნველყონ აუცილებელი მარტივი სასწავლო-სპორტული ინვენტარით, ზაფხულობით კი გადააქციონ მოსახლეობისთვის ცურვის სწავლების პუნქტად, მშთ ნორმატივების ჩასაბარებელ, საწყლოსნო-სპორტული ღღესასწაულების გასამართავ ადგილად.

რესპუბლიკის პლაჟებზე ფასიანი სასწავლო პუნქტების შექმნაში სპორტულ ორგანიზაციებს გარკვეული დახმარება უნდა გაუწიოს საქართველოს წყალმაშველმა საზოგადოებამ.



აუცილებელ მოთხოვნებს ვერც თბილისის ზღვის, ლისისა და კუს ტბის პლაჟები აკმაყოფილებს. დასვენების ამ ზონებში შეძლეს სავაჭრო წერტების, გასართობი ატრაქციონების, საცურაო საშუალებათა გამქირავებელი პუნქტების მოწყობა. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, აუცილებელია დამსვენებლებისთვის, მაგრამ მათ უმრავლესობას სურს ცურვა ისწავლოს, პლაჟი კი არ იძლევა ამის საშუალებას — აქ არ არის ფასიანი პუნქტი, რომელსაც ცურვის ინსტრუქტორები მოემსახურებოდნენ.

მოსახლეობისთვის ცურვის მასობრივი სწავლების ორგანიზაცია წარმატებით ხორციელდება ქალაქ ანაპის პლაჟებზე. აქ განლაგებულ 5 პუნქტში სააბონემენტო სისტემა საშუალებას იძლევა დადგენილი ფონდების ზევით მიღებული დამატებითი სახსრებიდან გადაუხადონ მწვრთნელებს გასამრჯელო, ზაფხულის პერიოდში კი კვალიფიციური მწვრთნელ-მასწავლებლები, აგრეთვე, კრასნოდარის ფიზკულტურის ინსტიტუტის ცურვის სპეციალიზაციის სტუდენტები მოიწვიონ.

სასწავლო პუნქტების შესაქმნელად და იქ სასწავლო ჯგუფების ორგანიზებისთვის აუცილებელია მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული აღმასკომების, შესაბამისი ადგილობრივი სპორტკომიტეტების, სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების, პროფკავშირული, კომკავშირული, წყალმაშველი და დოსააფის ორგანიზაციების, საყოფაცხოვრებო-კომუნალური მეურნეობის, პედაგოგიური ინსტიტუტების, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების ერთობლივი, შეთანხმებული საქმიანობა.

სამეურნეო საწყისებზე მოსახლეობისთვის ცურვის მასობრივი სწავლების იურიდიულ საფუძველს წარმოადგენს საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოს 1962 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება „სპორტულ სექციებსა და სკოლებში მომეცადინე პირთა მიერ შეტანილი საწევრო თანხების მწვრთნელთა და მასწავლებელთა შრომის ასანაზღაურებლად მოხმარების თაობაზე“.

ეს დადგენილება ფიზკულტურულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს, პლაჟებისა და საწყლოსნო სადგურების ადმინისტრაციებისა და სხვა დაინტერესებულ პირებს უფლებას აძლევს ხარჯდაფარვადობის პრინციპებზე შექმნან ცურვის ფასიანი სკოლები, ხოლო აბონემენტების გაყიდვის შედეგად შემოსული თანხიდან ხელფასი მისცენ ცურვის ინსტრუქტორებს და სადაც აუცილებლობა მოითხოვს, მომსახურე პერსონალს.

საზაფხულო საცურაო სეზონი კარზეა მომდგარი, ამიტომ შავი ზღვის სანაპიროზე, ბუნებრივი წყალსაცავების მქონე დასვენების ზონებში აუცილებელია შეიქმნას პირობები, რათა ცურვის შესწავლა სასწავლო პუნქტებში მოხერხდეს 10-12 გაკვეთილის მანძილზე, როგორც ეს ხდება ანაპის პლაჟზე.

რესპუბლიკის პლაჟებზე მოსახლეობისათვის ცურვის სწავლების აქტივიზაციის აუცილებლობასთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობს რა საკავშირო სპორტკომიტეტის, სსრ კავშირის ცურვის ფედერაციის შესაბამისი ინსტრუქციებითა და რეკომენდაციებით, რესპუბლიკაში და ქვეყნის ზოგიერთ მხარესა და ოლქში დაგროვილი გამოცდილებით, რესპუბლიკის პლაჟებზე მოსახლეობისთვის ცურვის სასწავლო პუნქტების შექმნის გასაადვილებლად საქართველოს სპორტკომიტეტი სპორტულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ, წყალმაშველ და დოსააფის ორგანიზაციებს, სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებს და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს სთავაზობს გამოიყენონ პროექტის სქემები მარტივი, იაფფასიანი სასწავლო პუნქტების მოსაწყობად. ამასთან დაკავშირებული საკითხების გასარკვევად დაინტერესებულმა პირებმა უნდა მიმართონ საქართველოს სპორტკომიტეტის ცურვის განყოფილებას: თბილისი, 380005, ლესელიძის ქ. № 36, ტელ. 72-24-53.

**შ. თოფურია,**

**მოსახლეობისთვის ცურვის მასობრივი სწავლების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.**




**ფარიკაობის სპეციალიზებულ დარბაზში 4 დღეს მიმდინარეობდა თბილისის მოსწავლეთა 32-ე სპარტაკიადა ფარიკაობაში. შეჯიბრების სტარტზე 8 რაიონის 120 მოფარიკავე გამოვიდა.**

**რაპირისტთა დავაში უძლიერესნი იყვნენ წუნეთელი მეცხრეკლასელი რუსუდან გალუაშვილი (მწვრთნელი ტ. დარახელია) და თბილისის 35-ე საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე ალექსანდრე ჯაყელი (მწვრთნელი ლ. ღლონიძე). დაშნით მოპაექრეთა ტურნირში გაიმარჯვა 30-ე სკოლის მე-9 კლასის მოსწავლემ გია სიმონიშვილმა (მწვრთნელი ნ. დიდია), ხოლო ხმლით ბრძოლა მოიგო თბილისის სპორტინტერნატის მოსწავლემ მალხაზ აღეიშვილმა (მწვრთნელი კ. ქუთათელაძე).**

**გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა ორჯონიკიძის რაიონის ნაკრებმა.**

**ს. ვართანესოვის ფოტორეპორტაჟი.**

# მეგობრობის ტურნირი

**გეორგიევსკის** ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილ საკავშირო ტურნირზე, რომელსაც თბილისის ჭადრაკის სასახლე მასპინძლობს, 6 ტურის შემდეგ ლიდერობენ: თ. გიორგაძე — 4 ქულა, ზ. სტურუა — 3 ქულა და ერთი გადადებული პარტია (5-დან), გ. ზაიჩიკი — 3 (1), ე. გუფელდი — 3 (5-დან), ზ. აზმაიფარაშვილი — 3.

ეს გაირკვა გუშინწინ გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ. თამაში უნდა განახლებულიყო 6 პარტიაში, მაგრამ მოჭადრაკეებმა მხოლოდ ოთხი დაამთავრეს.

თ. გიორგაძემ მოუგო სტურუას. ბ. გურგენიძე ყაიმზე შეუთანხმდა გ. გიორგაძესა და ე. გუფელდს, თ. გიორგაძე — ე. უბილავას. ორი პარტია დარჩა დაუმთავრებელი გელერს სტურუასთან და ზაიჩიკთან.

გუშინ მოჭადრაკეები ისვენებდნენ. დღეს, 15 მაისს გაიმართება VII ტური, რომელშიც ერთმანეთს შეხვდებიან უბილავა — გურგენიძე, გუფელდი — სტურუა, აზმაიფარაშვილი — თ. გიორგაძე და გ. გიორგაძე — გელერი.

● ჭადრაკი

# ახლა შანხაიში

**საბჭოთა** დიდოსტატები ნ. გურიელი და ი. ბალაშოვი განაგრძობენ შეხვედრებს ჩინეთის უძლიერეს მოჭადრაკეებთან. ხანჩჯოუდან ისინი შანხაიში ჩავიდნენ.

შანხაიში გურიელმა და ბალაშოვმა ორ-ორი პარტია ითამაშეს. დიდოსტატმა ქალმა დაამარცხა სიაოინი და ყაიმზე შეუთანხმდა პენ ჩჟაოცინს. ბალაშოვი შეხვდა საერთაშორისო ოსტატებს ცი ცზინცონსა და ლი ცზუნიანს და ორივე პარტია ყაიმით დაამთავრა.

# მოდის საიმედო ცვლა

**გორში** დამთავრდა საქართველოს ნორჩ მოჭადრაკეთა (1970 წელს და შემდეგ დაბადებულთა) IV პირველობა.

გოგონათა ტურნირში I-III ადგილები გაიყვეს ქეთევან კახიანმა (გარდაბნის რაიონი, დაბა ლილო), მარინე გაგნიაშვილმა (თბილისის 30-ე საშუალო სკოლა) და თამილა ქორტიაშვილმა (თბილისის 152-ე საშუალო სკოლა)—9,5-9,5.

კოეფიციენტთა ცხრილის უკეთესი მაჩვენებლებით ჩემპიონის სახელი კახიანს მიეკუთვნა. მეხუთეკლასელი გოგონა თამაშის საიდუმლოებას თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში მწვრთნელი გ. მაჭარაშვილის ხელმძღვანელობით ეუფლება.

ბიჭების ტურნირში ლიდერობა არავის დაუთმო ოსტატობის კანდიდატმა ლაშა ჯანჯღავამ (თბილისის 132-ე საშუალო სკოლა) და 10,5 ქულით ზედიზედ მეოთხედ გახდა ჩემპიონი.

II ადგილზეა ოსტატობის კანდიდატი სანდრო დგებუაძე (ზუგდიდის მე-2 საშუალო სკოლა)—8,5. III-IV ადგილები გაიყვეს ბაკურ თავაძემ (თბილისის 147-ე საშუალო სკოლა) და იგორ სტრელნიკოვმა (რუსთავის მე-3 საშუალო სკოლა) — 7,5-7,5.

საუცხოო შთაბეჭდილება დატოვა ჯანჯღავას თამაშმა. მან დაუმარცხებლად განვლო შეჯიბრება, გამოირჩეოდა გამარჯვებისკენ დაუცხრომელი სწრაფვით. ნორჩი მოჭადრაკე მეცადინეობს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, ოსტატ ა. ბოკუჩავასთან.

შეჯიბრებაში პირველი-მეოთხე ადგილების მფლობელნი მიწვეული არიან საქართველოს უფროსი ასაკის მოსწავლეთა პირველობაზე (ლენტეხი, ივლისი).

გორის საჭადრაკო ფედერაციის წევრებს (თავმჯდომარე გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი გ. ვაშაკიძე) მადლობა გვინდა ვუთხრათ შესანიშნავი მასპინძლობისათვის.

**ს. მეგრელიშვილი,**

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთავარი მწვრთნელი ჭადრაკში.**

# სპორტული ვანი

3 დღეს მიმდინარეობდა რაიონის სკოლების პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. საშუალო სკოლებს შორის პირველი ადგილი დაიკავა გ. ტაბიძის სახელობის საშუალო სკოლის გუნდმა, რვაწლიან სკოლებს შორის უძლიერესები იყვნენ იგოითელი მოჭიდავეები.

● ● ●

ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურის სახლში გაიმართა მოჭადრაკეთა ტურნირი. შეჯიბრება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს მიეძღვნა.

პირველი ადგილები გაიყვეს ფერეთისა და შუაგორას სასოფლო კლუბების მოჭადრაკეებმა, მესამე საპრიზო ადგილზეა ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურის სახლის გუნდი.

● ფეხბურთი

# 46-ე, ტური მეათე

## „დინამო“ (თბილისი) —„დინამო“ (მოსკოვი) 0:0.

**თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 13 მაისი.**

**თბილისი:** კუცია (აბუსერიძე), დურღიაძე, ჩივაძე, ჟორჟიკაშვილი, ჯოხაძე, კოპალეიშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, კაკილაშვილი, შენგელია (ცაავა).

**მოსკოვი:** პრუდნიკოვი, ლატიში, ნოვიკოვი, მახოვიკოვი (ნიკულინი), ტერენტიევი, ტოლსტიხი, მოლოდცოვი, მინაევი, ტყებუჩავა (მენტიუკოვი), აჯოევი, გაზაევი.

მსაჯი ი. დუტკო (ლვოვი).

დუბლიორები — 0:1.

გააფრთხილეს ნოვიკოვი და კოპალეიშვილი.

კაცისა, რომელიც გამუდმებით წუწუნებს, ნაკლებად სჯერათ ხოლმე. ალბათ ამიტომაც შევიკავე თავი წინა მატჩში მოსკოვის „სპარტაკთან“ მსაჯობაზე რამე აუგი მეთქვა. არადა, სათქმელი საკმაოდ იყო. მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში სტუმართა უხეშობას უკვგოროდელი არბიტრი ა. ტემეტევი ერთთავად გვერდს უვლიდა. ამით მშვენივრად ისარგებლეს სპარტაკელებმა და თბილისელთა ვერც ერთ იერიშსა თუ კომბინაციას, ბუნებრივია, ლოგიკური დასასრული ვერ მოჰყვა. მაშინ მასპინძლებმა რატომღაც ნაადრევად დაყარეს ფარ-ხმალი, მეორე ტაიმში კი თვითონ „სპარტაკმა“ ისურვა ფეხბურთის თამაში. აი, ამ მონაკვეთში არბიტრი საკმაოდ ობიექტურად სჯიდა, რაც სავსებით ბუნებრივიც იყო — საქმე ხომ, რომ იტყვიან, პირველ ტაიმშივე გაკეთდა.

მოსკოვის „სპარტაკი“ საერთოდ კორექტული გუნდია და სალაპარაკოც არაფერი იქნებოდა, ა. ტემეტევს ოდნავი ობიექტურობა რომ გამოეჩინა.

სხვა საქმეა მოსკოვის „დინამო“. წლების განმავლობაში ეს გუნდი ძალისმიერი, ერთობ ხშირად კი უხეში ფეხბურთის მქადაგებელია. სავსებით ლოგიკურია ისიც, რომ სწორედ ამ გუნდში თამაშობს „უხეშობის ოსტატად“ აღიარებული ნოვიკოვი. ეს ყველაფერი მშვენივრად იციან არბიტრებმა და ნებისმიერ მათგანს, თუ კი საიმისო სურვილი აქვს, რომ მატჩი ნორმალურად ჩატარდეს, სწორედ რომ ევალება ამ გუნდის არასაფეხბურთო სტილის ნებისმიერი გამოვლენა სათავეშივე აღკვეთოს. სამწუხაროდ, გუშინწინდელ მატჩში მსგავსი არაფერი მომხდარა. არადა, ამ გუნდთან ნებისმიერი თამაში (იგულისხმება დუბლიორთა შემადგენლობაც), სხვისი რა ვთქვა, და თბილისის „დინამოს“ კი ორი-სამი ფეხბურთელის დაშავებად უჯდება. ასე მოხდა წინა დღეს დუბლიორთა შეხვედრაში და ასევე გაგრძელდა ძირითადი შემადგენლობების ასპარეზობისას. ფაქტიურად ყველაფერი ის, რაც არასპორტული იყო ამ მატჩში, მხოლოდ და მხოლოდ მთავარი არბიტრის ლვოველი ი. დუტკოს „დამსახურებაა“.

წლების მანძილზე ვწერთ და ვლაპარაკობთ, რომ უხეშობა, „ჭუჭყიანი თამაში“ ვნებს, ამუხრუჭებს ფეხბურთს. ვწერთ, მაგრამ რა! დუტკოსნაირ არბიტრებს, როგორც ჩანს, არაფერში ენაღვლებათ არც ფეხბურთი, არც დამტვრეული წვივები და კოჭები. როგორც ჩანს, მათთვის უცხოა სპორტული იდეალები და ერთობ ხშირად მოქმედებენ წინასწარ შედგენილი გეგმით. უფრო სადადაც შეიძლება ითქვას: ხსენებული მატჩის არბიტრს ფრე სავსებით აძლევდა ხელს. ამიტომ იჩენდა ლიბერალობას, ამიტომაც ვერ შენიშნა სტუმართა კარში რამდენიმე არც თუ ძნელად დასანიშნი პენალტი.

დღეს თბილისელებს ისედაც საკმაოდ აქვთ საფეხბურთო პრობლემები და „მსაჯის პრობლემის“ დამატება, ბუნებრივია, კარგ ვერაფერ სამსახურს გაუწევს გუნდს. და მაინც ის, რომ გუშინწინდელ შეხვედრაში მიუხედავად ზემოხსენებული ხელისშემშლელი ფაქტორებისა, გუნდი უკანასკნელ წუთამდე იბრძოდა გამარჯვების მოსაპოვებლად, ისიც, რომ თვით თამაშის ხარისხიც წინანდელებთან შედარებით გაცილებით უკეთესი იყო, უცილობლად გვაფიქრებინებს: მერე და მერე მდგომარეობა გამოსწორდება, გუნდი მალე დააღწევს თავს მისთვის შეუფერებელ ადგილს.

**ი. ბერიაშვილი.**

• • •




ს უ რ ა თ ზ ე: თბილისისა და მოსკოვის დინამოელთა შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

კ. შანიძის ფოტო.

## უმაღლესი ლიგა

## „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 0:1 (0:1)

**ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 13 მაისი.**

**„ტორპედო“:** გაბელია, კეტაშვილი, ჰილაია, ქორიძე, კურტანიძე, თევზაძე, თავაძე, კვერნაძე, ჰიაბრიშვილი (კიკლიაშვილი), თვალაბეიშვილი, ვახაძე.

**„ნისტრუ“:** კუროჩკინი, ტეგლიაცოვი, კარახი, რიბაკი, შჩერბეი, დუბროვინი, პროცენკო (ტურიანსკი), მოხორა, ბატიჩი (მაციურა), დუბროვნი, მარქარიანი.

მსაჯი ვ. ბუტენკო (მოსკოვი).

გააფრთხილეს კვერნაძე, შჩერბეი.

დუბლიორები — 0:1.

პრინციპული და გადამწყვეტი მნიშვნელობის მატჩი ჰქონდათ ქუთაისის ტორპედოელებს კიშინიოვის „ნისტრუსთან“: საკავშირო ჩემპიონატში „ნისტრუს“ 8 მატჩის შემდეგ 3 ქულა ჰქონდა, ხოლო „ტორპედოს“ — 9 ტურის შემდეგ — 2. სხვა შედეგზე ფიქრიც არ შეიძლებოდა — ქუთაისელ ფეხბურთელებს ესაჭიროებოდათ მხოლოდ გამარჯვება, მხოლოდ 2 ქულა, რაც ამ უშუალო, კონკრეტული მეტოქის გასწრების საშუალებას იძლეოდა, თუმცა „ნისტრუს“ თადარიგში კიდევ ერთი მატჩი აქვს.

ტორპედოელებმა თავგამოდებით იბრძოლეს, მაგრამ მათ არც კიშინიოველები ჩამორჩნენ და 90-წუთიანმა შეუპოვარმა ბრძოლამ საბოლოოდ ის გამოამჟღავნა, რომ სტუმრები უფრო უკეთ იყვნენ მომზადებული ამ მნიშვნელოვანი თამაშისთვის.

ტორპედოელთა რიგებში ამჯერად ვიხილეთ რამდენიმე დებიუტანტი, სრულიად ახალგაზრდა ფეხბურთელი და, უნდა ითქვას, რომ მათ საქართველოს პირველობისა და ოსტატთა დუბლიორების მატჩების გამოცდილება არ ეყოთ. ქუთაისელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ მაინც წააგეს შეხვედრა და ამჟამად უკიდურესად მძიმე სატურნირო მდგომარეობა აქვთ. სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში ახლა 3-კვირიანი შესვენებაა, ქუთაისის „ტორპედოს“ ხელმძღვანელობა ძნელი, გადაუდებელი ამოცანის წინაშე იმყოფება; მან ამ პერიოდში უნდა დააკომპლექტოს კოლექტივი, შეათამაშოს ფეხბურთელები და ახალი ენერგიით შეუდგეს ბრძოლას მეტად რთული ამოცანის გადასაწყვეტად.

მატჩის პირველი 20 წუთი მიმდინარეობდა ორმხრივ ბრძოლაში, საკმაოდ დატვირთულნი იყვნენ მეკარეები — კუროჩკინიც და გაბელიაც, ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა მიეცათ კეტაშვილს, კურტანიძეს, მაგრამ გოლის გატანა მათ ვერ შეძლეს. სამაგიეროდ, 30-ე წუთზე, ქუთაისელ მცველთა შეცდომა კარგად გამოიყენა დუბროვინმა და ძლიერი. დარტყმით ეფექტური გოლი გაიტანა — 1:0.

შესვენების შემდეგ, დაახლოებით 20 წუთის მანძილზე, ტორპედოელები თითქმის განუწყვეტლივ უტევდნენ, ძნელი ჩამოსათვლელია ის მომენტები, რომლებიც მათ შექმნეს სტუმრების კართან, 49-ე წუთზე თვალაბეიშვილი სულ რაღაც 3-4 მეტრის მანძილზე აღმოჩნდა კარის წინ, მაგრამ ბურთის გატანის ეს ნაღდი შესაძლებლობა ვერ გამოიყენა.

შემდეგ თამაში გათანაბრდა. კიშინიოველები, თუმცა გაჭირვებით, მაგრამ მაინც ახერხებდნენ მასპინძელთა იერიშების მოგერიებას. მათი გუნდი უფრო ორგანიზებული, შეთამაშებული ჩანდა.

მატჩის დასასრულს ქუთაისელებმა კვლავ ხელთ აიღეს ინიციატივა, თუმცა მათი ქაოსური იერიშები უშედეგოდ დამთავრდა და ის 2 ქულა, რომლებიც ჰაერივით სჭირდებოდა „ტორპედოს“, საბოლოოდ კიშინიოველთა კუთვნილება გახდა.

**ბ. ნამიჟეიშვილი.**
**(ტელეფონით, ჩვენი კორ.).**

* * *

**გუშინ** მოსკოვში გაიმართა უმაღლესი ლიგის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი ადგილობრივ ცსკა-სა და ვილნიუსის „ჟალგირისს“ შორის.

თამაში დამთავრდა „ჟალგირისის“ გამარჯვებით — 2:1.

## გათამაშების ცხრილი

### ძირითადი შემადგენლობანი

**მდგომარეობა 15 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „არარატი“ | 10 | 7 | 0 | 3 | 13—11 | 14 |
| „ჩერნომორ.“ | 9 | 6 | 1 | 2 | 15—9 | 13 |
| „დინამო“ მნ. | 10 | 5 | 3 | 2 | 13—8 | 13 |
| „ჟალგირისი“ | 10 | 4 | 5 | 1 | 9—6 | 13 |
| „ტორპ.“ მ. | 9 | 4 | 4 | 1 | 10—8 | 12 |
| „შახტიორი“ | 9 | 5 | 1 | 3 | 11—8 | 11 |
| „ზენიტი“ | 9 | 4 | 3 | 2 | 11—8 | 11 |
| „სპარტაკი“ | 9 | 4 | 2 | 3 | 16—7 | 10 |
| „დნეპრი“ | 9 | 3 | 3 | 3 | 12—10 | 9 |
| „ნეფთჩი“ | 10 | 3 | 3 | 4 | 9—10 | 9 |
| „მეტალისტი“ | 8 | 3 | 2 | 3 | 9—9 | 8 |
| „დინამო“ კ. | 8 | 3 | 2 | 3 | 5—6 | 8 |
| „დინამო“ მ. | 9 | 2 | 4 | 3 | 6—5 | 8 |
| „ფახთაქორი“ | 9 | 2 | 4 | 3 | 7—8 | 8 |
| „დინ.“ თბ. | 10 | 2 | 3 | 5 | 8—13 | 7 |
| „ნისტრუ“ | 9 | 2 | 1 | 6 | 6—18 | 5 |
| ცსკა | 9 | 1 | 3 | 5 | 4—9 | 5 |
| „ტორპ.“ ქ. | 10 | 0 | 2 | 8 | 5—16 | 2 |

# ევროპის ჩემპიონატი

**ინგლისში** დაიწყო ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატი. ფინალური გათამაშების 16 მონაწილე გუნდი დაყოფილია 4 ჯგუფად, III ჯგუფში გამოდიან სსრ კავშირის, შოტლანდიის, ინგლისისა და ესპანეთის გუნდები.

13 მაისს გაიმართა პირველი მატჩები. შოტლანდიელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 3:0 დაამარცხეს სსრ კავშირის გუნდი, ინგლისელებმა მოუგეს ესპანელებს — 1:0.

# ჭაბუკთა რესპუბლიკური...

**საქართველოს** ქალაქებისა და რაიონების სტადიონებზე 8 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა ჭაბუკ ფეხბურთელთა რესპუბლიკური პირველობის ზონალური შეჯიბრება 2 ასაკის გუნდებს შორის.

განვლილი ბრძოლების შემდეგ უფროს ასაკში გათამაშების შემდგომ ეტაპზე მონაწილეობის უფლება მოიპოვეს აღმოსავლეთი ზონიდან: თბილისის „ავაზამ“, „სიხარულმა“, „დინამომ“, „მერცხალმა“ და „ივერიამ“, ხოლო დასავლეთის ზონიდან — ქუთაისის „იმერეთმა“ და ბათუმის „დინამომ“. ამჟამად მიმდინარეობს დასკვნითი ტურნირი, რომელიც 24 ივლისამდე გასტანს.

უმცროს ასაკში შეჯიბრების დასკვნითი ნაწილი წარიმართება ზონებში შესაბამის ადგილებზე გასულ გუნდების ერთმანეთთან შეხვედრებით: ე. ი. აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებში პირველ ადგილებზე გასული გუნდები იბრძოლებენ საერთო პირველი ადგილისთვის, მეორე ადგილებზე გასულნი — მესამე ადგილისთვის და ა. შ.

15 მაისს ბათუმის „ჭოროხი“ უმასპინძლებს თბილისის „ლოკომოტივს“, თბილისის სპორტინტერნატი —ზუგდიდის „დინამოს“, სოხუმის განათლების განყოფილების გუნდი — თბილისის „დინამოს“, ლანჩხუთის „გურია“ — თბილისის „კოლხეთს“, თბილისის „ამირანი“ — გაგრის „რიწას“, ფოთის „ფაზისი“ — თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდს, ვანის „სულორი“ — თბილისის „ავაზას“, რუსთავის „ფოლადი“ — ნატანების „ნარინჯს“, სამტრედიის „ლოკომოტივი“ — თბილისის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლის გუნდს, თბილისის „ავიატორი“ — სოხუმის „დინამოს“, ცხინვალის „ალანი“ — ქუთაისის „მართვეს“, ხოლო ბათუმის „დინამო“ — გორის „მართვეს“.

ამ გუნდების საპასუხო მატჩები გაიმართება 22 მაისს.

**ი. გოჩორაძე,**
**საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**

# ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები.

### ინგლისი

XXXIX ტურში „ლივერპულმა“ სტუმრად წააგო ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურთან“ (0:2), მაგრამ ამის მიუხედავად, ვადამდე გაინაღდა (მეთოთხმეტედ) ინგლისის ჩემპიონის წოდება. ეს მოხდა იმის გამო, რომ ერთადერთმა კონკურენტმა, რომელსაც თეორიულად კიდევ შეეძლო „ლივერპულისათვის“ მეტოქეობის გაწევა — „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ქულა დაკარგა „ნორვიჩ სიტისთან“ — 1:1.

ტურის სხვა მატჩები: „ასტონ ვილა“ —„სტოკ სიტი“ 4:0, „კოვენტერი სიტი“ — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ 0:1, „ევერტონი“ — „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ 2:0, „მანჩესტერ სიტი“ — „ნოტინგემ ფორესტი“ 1:2, „ნოთს ქაუნთი“ — „ბრაიტონ ალბიონი“ 1:0, „საუთჰემპტონი“ — „ლუტონ თაუნი“ 2:2, „სანდერლენდი“ — „ბირმინგემ სიტი“ 1:2, „სუონსი სიტი“ — „იფსვიჩ თაუნი“ 1:1, „უოტფორდი“ —„არსენალი“ 2:1.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ლივერპული“ | 39 | 85—33 | 81 |
| „უოტფორდი“ | 39 | 66—51 | 67 |
| „მანჩ. იუნ.“ | 37 | 49—29 | 64 |
| „ასტ. ვილა“ | 39 | 58—46 | 64 |

### იტალია

XXVIII ტურში გადაწყდა ჩემპიონობის საკითხი: „რომამ“ შინ დაამარცხა „აველინო“ — 2:0 და 40 ქულა მოაგროვა. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა რომაელთა მიერ პირველი ადგილის დაკავებას, თუ „იუვენტუსი“ შინ მოუგებდა „ინტერს“. მატჩს ტურინის სტადიონზე 60 ათასი მაყურებელი დაესწრო. 37-ე წუთისათვის ანგარიში იყო 2:0 სტუმრების სასარგებლოდ (ორივე ბურთი გაიტანა ალტობელიმ). 44-ე წუთზე პლატინიმ ერთი გოლი გაქვითა, შესვენების შემდეგ კი პ. მიულერმა 20 მეტრის მანძილიდან უძლიერესი დარტყმით მესამე ბურთი მოათავსა ძოფის კარში. „იუვენტუსმა“ პლატინისა და ბეტეგას მიერ გატანილი ბურთების წყალობით ფრეს მიაღწია (3:3), მაგრამ ჩემპიონის წოდება მოიპოვა „რომამ“, გუნდმა ეს 41-წლიანი „პაუზის“ შემდეგ გააკეთა.

სხვა მატჩები: „სამპდორია“— „კალიარი“ 1:1, „უდინეზე“ — „კატანძარო“ 2:1, „ნაპოლი“ — „ფიორენტინა“ 1:0, „პიზა“ — „ჯენოვა“ 0:0, „ასკოლი“ —„ტორინო“ 2:0, „ჩეზანა“ — „ჰელასი“ 1:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რომა“ | 28 | 48—22 | 40 |
| „იუვენტ.“ | 28 | 46—27 | 36 |
| „ინტერი“ | 28 | 38—24 | 34 |

### ჰოლანდია

XXXII ტურის ცენტრალური მატჩი „აიაქსსა“ (ამსტერდამი) და „ფეიენოორდს“ (როტერდამი) შორის დამთავრდა ფრედ — 3:3. საპრიზო ადგილის კიდევ ერთი პრედენდენტი — „პსვ ეინდჰოვენი“ დამარცხდა ცვოლეს პექთან — 0:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „აიაქსი“ | 32 | 96—35 | 54 |
| „ფეიენოორ.“ | 32 | 66—36 | 50 |
| „პსვ ეინდჰ.“ | 32 | 77—33 | 47 |

### ბელგია

გრძელდება დავა „ანდერლეხტსა“ და „ლიეჟის „სტანდარდს“ შორის. ჩემპიონობის მესამე პრეტენდენტმა „ანტვერპენმა“ მკვეთრად გაიუარესა მდგომარეობა „ანდერლეხტთან“ დამარცხების შემდეგ — 1:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ანდერლეხტი“ | 30 | 71—31 | 45 |
| „სტანდარდი“ | 29 | 68—31 | 42 |
| „ანტვერპენი“ | 30 | 48—29 | 41 |

### შოტლანდია

ჩემპიონობის პრეტენდენტი ახლა ორია: „დანდი იუნაიტედი“ და „სელტიკი“ (გლაზგო). XXXIV ტურში ორივემ დიდი ანგარიშით გაიმარჯვა სტუმრად: „დანდი იუნაიტედმა“ — „მორტონთან“ — 4:0, „სელტიკმა“ —„კილმარნოკთან“ —5:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „დანდი იუნ.“ | 34 | 84—34 | 52 |
| „სელტიკი“ | 34 | 84—34 | 51 |
| „აბერდინი“ | 32 | 63—24 | 48 |

### შვეიცარია

XXIII ტურში ლიდერებმა წინ წაიწიეს: „ჟენევის „სერვეტმა“ ანგარიშით 2:0 მოუგო „ბულეს“, ხოლო ციურიხის „გრასჰოპერსმა“ — „ლოზანა სპორტს“ —3:0. ახლა ჩემპიონობის შანსი მხოლოდ 2 გუნდს დარჩა.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სერვ.“ (ჟენ.) | 23 | 48—16 | 38 |
| „გრასჰ.“ (ციურ.) | 23 | 67—24 | 37 |

### თურქეთი

XXVI ტურის შემდეგ „ბეშიქთაში“ (სტამბოლი) საგრძნობლად ჩამორჩა: მან ანგარიშით 0:2 წააგო „ანტალიასპორთან“ და, ეტყობა, ჩემპიონობას წლეულს ველარ შეინარჩუნებს. „ბეშიქთაში“ 28 ქულით მხოლოდ მეხუთე ადგილზეა.

| | | | |
|---|---|---|---|
| „გალათას.“ | 26 | 33—17 | 37 |
| „ტრაბზონსპ.“ | 26 | 33—16 | 36 |
| „ფენერბაჰ.“ | 26 | 27—14 | 36 |

### პოლონეთი

გამოიკვეთა ოთხეული, რომელსაც XXII ტურის შემდეგ ჩემპიონობის შანსები აქვს. მათი მდგომარეობა ასეთია:

| | | | |
|---|---|---|---|
| „ლეხი“ (პოზნ.) | 22 | 30—21 | 27 |
| „პოგონი“ (შჩეც.) | 22 | 35—19 | 26 |
| „რუხი“ (ხოჟ.) | 22 | 26—16 | 26 |
| „ვიძ.“ (ლოძი) | 22 | 32—26 | 26 |

● მძლეოსნობა

# რეკორდი... 31 წლის შემდეგ

**1952 წელს** შესანიშნავმა მძლეოსანმა ნ. დვალიშვილმა 200 მეტრზე რბენაში იმ დროისათვის საკმაოდ მაღალი შედეგი 24,1 წამი აჩვენა, ეს რესპუბლიკის რეკორდი იყო, რომელმაც 31 წელიწადი იარსება, ასეთი რეკორდის გაუმჯობესება განსაკუთრებული მოვლენა უნდა ყოფილიყო ჩვენი ქართული მძლეოსნობის ისტორიაში და აი, 11 მაისს ამის მომსწრე გახდნენ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე თავმოყრილი მაყურებლები. ახალგაზრდა მძლეოსანმა მაია აზარაშვილმა (მწვრთნელი გ.



გოზალიშვილი) დამაჯერებლად გაიმარჯვა თბილისის საქალაქო სპარტაკიადის მძლეოსანთა ასპარეზობაში და საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა. მაიამ ძველ რეკორდს მთელი 0,3 წამი „ჩამოაკლო“ და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

ამ შეჯიბრებაში საქართველოს კიდევ ორი უმაღლესი მიღწევა გაუმჯობესდა და ორივე სპორტის ოსტატ შორენა ონიაშვილის წილად მოდის. ამ ნიჭიერმა სპორტსმენმა 400 მეტრზე თარჯრბენში 58,1 წამი აჩვენა, ხოლო მეორე დღეს 400 მეტრი 55,5 წამში დაფარა. აღსანიშნავია, რომ ძველი მიღწევები მასვე ეკუთვნოდა. ამავე მანძილებზე კარგად იასპარეზეს შოგოლევას კიდევ ორმა მოწაფემ ო. მიხელიძემ და ე. პაპიკინამ. საერთოდ მძლეოსანთა საქალაქო სპარტაკიადა მაღალი შედეგიანობით გამოირჩეოდა: 8 მძლეოსანმა შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი, რაც რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებში იშვიათად ხდება. სასიხარულოა, რომ ისეთ ძნელ სახეობაში, როგორიც ათჭიდია, სადაც დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთი ოსტატი, ს. კრასნოკუტსკი გვყავდა, ეს საპატიო წოდება კიდევ ორ მძლეოსანს ვ. ბერიშვილს და ა. გრებელნიკოვს მიენიჭება.

110 მეტრზე თარჯრბენში კარგი შედეგით გაიმარჯვა ლ. ბლიაძემ (მწვრთნელი ს. ქავთარაძე). იმედია, იგი სულ მალე 14 წამიან ზღვარსაც დაძლევს. 200 მეტრზე შესანიშნავად ირბინა საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრმა ა. ალიევმა (მწვრთნელი ა. ანდრეევი). სპორტის ოსტატის შედეგებით გაიმარჯვეს საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის გ. დიაჩკოვის ორმა მოწაფემ, ჭოკით მხტომელმა ს. ამოსოვმა და სიმაღლეზე მხტომელმა გ. გოლუბოვმა. ყოველივე ამან საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობას საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის წინ გარკვეული იმედი ჩაუსახა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველოს სპარტაკიადაზე, რომელიც 19-22 მაისს გაიმართება თბილისში, ჩვენი მძლეოსნები უფრო მაღალი შედეგებით გაგვახარებენ.

გ. ჩოჩიშვილი.

**ტექნიკური შედეგები:**

**ვაჟები. რბენა.**

**100 მ.** ზ. მემარნიშვილი („სპარტაკი“) — 10,5. **200 მ.** ა. ალიევი (ასკ) — 21,1. **400 მ.** ა. ხრომოვი („განთიადი“) — 47,7. **800 მ.** — 1,51,5. **1500 მ.** ი. ფიოდოროვი („დინამო“) — 3.57,2. **5000 მ.** ი. კოსიხი (ასკ) — 15.09,5. **10000 მ.** ვ. გედევანიშვილი („ლოკომოტივი“) — 31.38,4. **თარჯრბენი. 110 მ.** ლ. ბლიაძე („კოლმეურნე“) — 14,1. **400 მ.** ი. დმიტ-



რიევი („კოლმეურნე“) — 53,0. **3000 მ. წინაღობებით.** გ. ნასტენკო (პროფკავშირები)—9.36,0. **4X100 მ.** „დინამო“ — 43,5. **4X400 მ.** „კოლმეურნე“ — 3.20,9. **20 კმ. სპორტული სიარული.** ზ. ჰუსეინოვი („ბურევესტნიკი“) — 1:34.00,8. **ხტომა. სიგრძე.** გ. ჩადუნელი („დინამო“) — 7,78 მ. **სიმაღლე.** გ. გოლუბოვი (ასკ) —



215 სმ. **სამხტომი.** ს. ახვლედიანი („ბურევესტნიკი“) — 15,87. **ჭოკი.** ს. ამოსოვი („ლოკომოტივი“) — 520 სმ. **ბირთვი.** — 17,06 მ. **ბადრო.** — 51,70 მ. ა. ორლოვსკი („ლოკომოტივი“). **შუბი.** დ. ვეშაპიძე („სპარტაკი“) — 60,04 მ. **ურო.** ზ. ტალიკიშვილი (განთიადი“) — 58,60 მ. **ათჭიდი.** 1. ა. გრებელნიკოვი („ლოკომოტივი“) — 7548 ქულა; 2. ვ. ბერიშვილი („ბურევესტნიკი“) — 7515.

**ქალები. რბენა.**

**100 მ.** ი. კოსორუკოვა („დინამო“) — 12,0. **200 მ.** მ. აზარაშვილი („კოლმეურნე“) — 23,8. **400 მ.** 1. შ. ონიაშვილი („განთიადი“) — 55,5; ო. მიხელიძე (პროფკავშირები) — 56,2.

**800 მ.** ზ. გუჩმაზოვა („ლოკომოტივი“) — 2.13,5. **1500 მ.** — 4.59,4. **3000 მ.** ს. მინასიანი (შრ. რეზერვები“) — 11.15,0.

**თარჯრბენი: 100 მ.** ო. ვერშინინა („ლოკომოტივი“) —14,7. **400 მ** 1. შ. ონიაშვილი („განთიადი“) — 58,1, 2. ე. პაპიკინა (პროფკავშირები) —1.02,0.. **4X100.** „ლოკომოტივი“ — 50,3.

**ხტომები: სიგრძე.** ო. ვერშინინა („ლოკომოტივი“) — 5.74 სმ. **სიმაღლე.** ე. გოლოვკოვა („კოლმეურნე“) — 170 სმ. **ბირთვი.** — 12,75 მ. **ბადრო.** —54,30მ. ნ. ლაბაძე („კოლმეურნე“). **შუბი.** ნ. ოგანოვა („სპარტაკი“) — 28,04 მ. **შვიდჭიდი.** ხ. სპირინა (პროფკავშირები) — 4505 ქულა.

**გუნდური:** 1. კოლმეურნე“ — 721 ქულა; 2. „ლოკომოტივი“ — 602; 3. „დინამო“ — 582.

* * *



**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მ. აზარაშვილი (მარცხნივ) და შ. ონიაშვილი; ხ. ახვლედიანი ასპარეზობისას; 110 მეტრზე თარჯრბენის მომენტი.**

ე. ხუცურაულის ფოტო.

● ფარიკაობა

# „ლელოს“ პრიზზე

**გუშინ** თბილისში, ფარიკაობის სპეციალიზებულ დარბაზში გაიხსნა მოსწავლეთა საკავშირო ტურნირი გაზეთ „ლელოს“ პრიზზე.

საზეიმო მარშის ხმაზე დარბაზში შემოდიან ტაშკენტის, ბაქოს, კიშინიოვის, ორჯონიკიძის, საქართველოს და თბილისის ნაკრები გუნდები.

შეჯიბრება გახსნა და მონაწილეებს მიესალმა საქართველოს განათლების სამინისტროს სპორტული ცენტრის განყოფილების უფროსი მ. მნათობიშვილი. ნორჩ მოფარიკავეებს დაურიგეს სუვენირები. შემდეგ დარბაზში მყოფთ წუთიერი დუმილით პატივი სცეს სახელოვანი მოფარიკავის და მწვრთნელის შოთა დარასელიას ხსოვნას.

— საკავშირო შეჯიბრება „ლელოს“ პრიზზე წელს პირველად ტარდება, — თქვა ჟიურის წევრმა, საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ბ. მესხმა. — რაღა თქმა უნდა, [illegible] გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს, იგი დიდ სარგებლობას მოუტანს ნორჩ მოფარიკავეებს.

შეჯიბრებაზე დაწესებულია რამდენიმე პრიზი, მათ შორის შოთა დარასელიას სახელობისა ყველაზე ნორჩი ხმლით მოფარიკავისათვის.

გუშინვე გაიმართა ხმლით მოფარიკავეთა პირველი ორთაბრძოლები.

ნ. ჯოხარიძე.



ს უ რ ა თ ზ ე: ასპარეზობის მომენტი.

● ველორბოლა

**მშვიდობის** 36-ე მრავალდღიანი ველორბოლის — ვარშავა-ბერლინი-პრაღა მეოთხე ეტაპი პოლონეთში, პოზნანში დაიწყო და გდრ-ის ქალაქ ფორსტეში დამთავრდა. რბოლის ეს 175 კმ-იანი მონაკვეთი ყველაზე სწრაფად რუმინელმა მ. რომაშკანუმ გაიარა, მომდევნო ადგილებზე კი პორტუგალიელი ლ. ტეკსეირა და მონღოლი ველოსიპედისტი ც. განბოლდი აღმოჩნდნენ.

რბოლის საერთო ლიდერობას კვლავ საბჭოთა სპორტსმენი, როვნოელი ო. ჩუჟდა ინარჩუნებს, გუნდურ პირველობაშიც კვლავინდებურად წინაა გდრ-ის ნაკრები, მეორეზე საბჭოთა გუნდია.

● კრივი

**ვარნის** რინგზე, სადაც დღეს გაიმართება ევროპის პირველობის დასკვნითი შეხვედრები, საბჭოთა სპორტსმენთაგან ფინალში პირველნი გავიდნენ: ნევინომისკელი მსოფლიო ჩემპიონი ი. ალექსანდროვი (54 კგ.), რომელმაც ნახევარფინალში ჩეხოსლოვაკიელ ა. მადურას სძლია, ჩელიაბინსკელმა პ. გალკინმა (67) კი ირლანდიელ კ. ჯოისთან გამარჯვებით მოიპოვა ეს უფლება.

შემდეგ ჩებოქსარელმა ვ. მელნიკმა (75) დაამარცხა პ. მასკე (გდრ) და ახლა ფინალში რუმინელ მოკრივეს დ. მარიჩესკუს შეხვდება, ხოლო დონეცკელი მძიმეწონოსანი იაგუბკინი — უნგრელ დ. ალვიჩს.

ყარაგანდელმა ბ. ესყანოვმა (48) ნახევარფინალური ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონ ი. მუსტაფოვს დაუთმო. იგივე ბედი ეწია ალმაათელ ვ. დემიანენკოს, რომელიც აგრეთვე ბულგარელ მოკრივე ე. ჩუპრენსკოსთან დამარცხდა. ორივე საბჭოთა სპორტსმენს „ბრინჯაო“ გადაეცა.

გუშინდელი ნახევარფინალური შეხვედრების შედეგად 12 საბჭოთა მოკრივეთაგან 8 განაგრძობს ოქროს მედლებისთვის ბრძოლას. ესენია: ი. ალექსანდროვი (48 კგ); ს. ნურკაზოვი (60), ვ. შიშოვი (63,5), ა. გალკინი (67), ვ. ლაპტევი (71), ვ. მელნიკი (75), ვ. კაჩანოვსკი (81), ა. იაგუბკინი (91).

დღეს 20 საათზე ცენტრალური ტელევიზია პირველი პროგრამით გადასცემს ფინალური შეხვედრების რეპორტაჟს.

● წყალბურთი

**ლოს-ანჯელესში** წყალბურთელთა მსოფლიო თასის გათამაშებაში კუბელებთან საბჭოთა წყალბურთელების გამარჯვების შესახებ ჩვენ უკვე ვიტყობინებოდით. გაგაცნობთ სხვა შეხვედრათა შედეგებს: პირველი დამარცხება იწვნიეს იტალიელებმა — მათ წააგეს გფრ-ის სპორტსმენებთან 8:9. ასეთივე ანგარიშით უნგრელები დამარცხდნენ ესპანელებთან. აშშ-ს გუნდმა სძლია ჰოლანდიის ნაკრებს — 7:6.

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 5 ტურის შემდეგ

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| გფრ | 4 | 1 | 0 | 43—32 | 9 |
| სსრ კავშირი | 3 | 1 | 1 | 44—36 | 7 |
| იტალია | 2 | 2 | 1 | 37—33 | 6 |
| აშშ | 2 | 1 | 2 | 36—37 | 5 |
| ესპანეთი | 2 | 0 | 3 | 36—40 | 4 |
| უნგრეთი | 0 | 3 | 2 | 40—43 | 3 |
| ჰოლანდია | 1 | 1 | 3 | 38—44 | 3 |
| კუბა | 1 | 1 | 3 | 44—53 | 3 |

აი, ვის შეხვდებიან საპრიზო ადგილის პრეტენდენტი გუნდები ბოლო ორ ტურში. გფრ-ის ნაკრები — სსრ კავშირს და ჰოლანდიის გუნდს, სსრ კავშირი — უნგრეთს, იტალია — აშშ-ს და კუბას, აშშ — ესპანეთს, ესპანეთი — კუბას.

## პანორამა

● ხელბურთი

**კაუნასში** უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა გუნდებს სათამაშო დარჩათ ორ-ორი მატჩი. გუნდების მდგომარეობა დასკვნითი ორი ტურის წინ ასეთია:

**გათამაშების ცხრილი**

I-VI ადგილები

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 21 | 6 | 3 | 849—747 | 48 |
| ასკ (მნ) | 20 | 6 | 4 | 869—746 | 46 |
| ზიი | 17 | 3 | 10 | 781—707 | 37 |
| საავ. ინსტ. | 16 | 2 | 12 | 821—803 | 34 |
| „კუნცევო“ | 15 | 2 | 13 | 835—823 | 32 |
| „გრანიტასი“ | 13 | 5 | 12 | 855—840 | 31 |

● კალათბურთი

**ამერიკის** შეერთებულ შტატებში ტურნეს მართავს სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრები. ქალაქ ჰანტინგტონში დასავლეთ ვირჯინიის შტატის თანატოლთა გუნდთან მატჩში გაიმარჯვეს სტუმრებმა — 85:80 (42:41). გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანი იყო ყარკოვი — 25 ქულა. პირველ მატჩში სტუმრები დამარცხდნენ.

* * *

**ბუდაპეშტში** დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც გაიმარჯვა ევროპულ კლუბებში მოთამაშე ამერიკელთა ნაკრებმა გუნდმა. გადამწყვეტ მატჩში მან მოუგო იუგოსლავიის ნაკრებს — 96:87 (45:38). მესამე ადგილზე გავიდნენ პოლონელები, ხოლო მეოთხეზე მასპინძლები.

რედაქტორი ა. ბასილაია.

**რამდენიმე წლის შემდეგ როლანდ სიმანდიევი (მარჯვნივ) იქნებ მსოფლიო რეკორდსმენადაც კი მოგვევლინოს ცურვაში, ხოლო მისი თანაკლასელი და მეგობარი ალექსანდრე ბონდარენკო კი ჭადრაკის დიდოსტატად (ისინი ხომ სპორტის ამ სახეობებით არიან გატაცებული), მაგრამ დღეს თბილისის 66-ე საშუალო სკოლის VI ბ კლასის მოსწავლეებმა ჩვენი ყურადღება მიიქციეს რუბიკის კუბიკის აწყობით. პიონერთა სასახლის პირველ პირველობაზე როლანდმა კუბიკი მინიმალურ დროში (1.09) ააწყო და პირველი ჩემპიონი გახდა, საშა კი მისი პირველი მწვრთნელია.**



* * *

**ს უ რ ა თ ზ ე: ე. ბონდარენკო და რ. სიმანდიევი არჩევენ რუბიკის კუბიკის აწყობის ახალ ვარიანტს.**

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

●

**დღეს** 14 საათზე ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის თეატრალურ დარბაზში გაიმართება მოსწავლეთა საქალაქო პირველობა რუბიკის კუბიკის აწყობაში გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ პრიზზე.

**გუშინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“, მე-20 ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 49“-დან:** 10 (წყალბურთი), 22 (წყალში ხტომა), 23 (თხილამურებით ხტომა და ორჭიდი), 28 (ტყვიის სროლა), 31 (ფარიკაობა), 33 (ფეხბურთი).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 2 (ბიატლონი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 20 (აფროსნობა), 21 (ცურვა), 23 (თხილამურებით ხტომა და ორჭიდი).

**საქართველოს სპორტკომიტეტი, „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო, თავისუფალი, კლასიკური, ქართული ჭიდაობის, ძიუდოსა და სამბოს რესპუბლიკური ფედერაციები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ვეტერანი**

**მიხეილ იაგორის ძე თიკანაძე**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
უე 07578